


ნ. გამყრელიძე, შ. კოტეტიშვილი,  
ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. ჯავახიძე

ქართული ნორმატიული და  
დიალექტური მეტყველების  
ფონეტიკური ანალიზი



N. Gamkrelidze, Sh. Kotetishvili,  
J. Lezhava, L. Lortkipanidze, L. Javakhidze

PHONETIC ANALYSIS OF  
GEORGIAN NORMATIVE  
AND DIALECTAL SPEECH

ნ.გამყრელიძე, შ.კოტეტიშვილი, ი.ლეჟავა,  
ლ.ლორთქიფანიძე, ლ.ჯავახიძე

**ქართული ნორმატიული და დიალექტური  
მეტყველების ფონეტიკური ანალიზი**

N.Gamkrelidze, Sh.Kotetishvili, I.Lezhava,  
L.Lortkipanidze, L.Javakhidze

**Phonetic Analysis  
of Georgian Normative and Dialectal Speech**

თბილისი 2006 Tbilisi

გამოკვლევაში შესწავლილია ქართლური, კახური, ხევსურული, იმერული და გურული დიალექტური მეტყველების ფონეტიკური თავისებურებები და მათი მიმართება ქართულ ნორმატიულ მეტყველებასთან.

ნაშრომი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

საკვლევ მასალას წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამებით გაანალიზებული, ლაბორატორიის ფონოთეკაში არსებული აუდიოჩანაწერები.

ნაშრომი ილუსტრირებულია სპექტროგრამებით, ოსცილოგრამებით, ინტონოგრამებით, ხმოვანთა ფორმანტული ანალიზის შედეგების ამსახველი ცხრილებითა და დიაგრამებით. მას აგრეთვე თან ახლავს ლაზერულ დისკზე (CD-R-ზე) ჩაწერილი აუდიომასალა და პროგრამული უზრუნველყოფა (Cool Edit 96).

წიგნი საინტერესო უნდა იყოს როგორც ფონეტიკოსებისათვის, ისე დიალექტოლოგებისათვის.

**რედაქტორი**

*ირინე მელიქიშვილი*

**რეცენზენტები**

*ეთერ სოსელია  
გიორგი ცოცანიძე*

### სალიტერატურო ენა და დიალექტები

სალიტერატურო ენის ნორმის საკითხი მეტად აქტუალურია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სალიტერატურო ნორმისა და დიალექტური წარმოთქმის ურთიერთობის პრობლემები.

სალიტერატურო ენა და დიალექტი რთულ ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან. ეს განპირობებულია როგორც მოცემული ენისა და დიალექტის არსებობის კონკრეტულ-ისტორიული პირობებით, ისე მათი საკუთარი სტრუქტურების თავისებურებებით.

თუ ენა წარმოადგენს საკომუნიკაციო საშუალებების რთულ სისტემას, რომელიც მოცემულ კოლექტივში გამოიყენება ურთიერთობის ყველა ფორმისათვის, ხოლო დიალექტი – ამ სისტემის ერთ-ერთ, გამოყენების მიხედვით შეზღუდულ ვარიანტს, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებები ენასა და დიალექტს შორის ძირითადად სამი სახისაა: სოციალური, ფუნქციონალური და სტრუქტურული.

ეს განსხვავებები არა მარტო ენასა და დიალექტს შორის ძირითადი სხვაობების დადგენის საშუალებას იძლევა, არამედ ხსნის დიალექტისთვის დამახასიათებელ თავისებურებებსაც.

ენათმეცნიერთა შორის ჯერ კიდევ სადავოა ენისა და დიალექტის გამიჯვნის საკითხი.

ტრადიციულად, ენისა და დიალექტის გასარჩევად საკმარისია ურთიერთგაგებინების პრინციპის გამოყენება. ე.ი. თუ ორი ადამიანი ერთმანეთს გაუგებს, მათი საკომუნიკაციო კოდი ჩაითვლება ერთ ენად ან ერთი ენის დიალექტებად, ხოლო თუ ვერ გაუგებს ერთმანეთს, მაშინ – სხვადასხვა ენებად.

ეს კრიტერიუმი შეიძლება არ იყოს მთლად ზუსტი, რადგან გაგებინების ხარისხი პირობითია და მკაცრად ვერ განისაზღვრება.

ამასთანავე, არც თუ იშვიათად, გაგებინება შეფერხებულია ერთი და იმავე ენის ორი ან მეტი დიალექტის, ან ჟარგონული თუ პროფესიული ლექსიკის ჭარბი გამოყენებისას.

ხშირად ენებისა და დიალექტების გამოყოფა ხდება ექსტრალინგვისტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორცაა გეოგრაფი-

ული, ისტორიული, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და რელიგიური ფაქტორები. ამის მაგალითებია მოლდავური და რუმინული, სლოვაკური და ჩეხური, სადაც გაგებინების პრობლემა არ არსებობს; მიუხედავად ამისა, ისინი სხვადასხვა ენებად მიიჩნევა.

მაშასადამე გამოდის, რომ გაგებინების შემთხვევაშიც შეიძლება ენები სხვადასხვა იყოს, ხოლო შეზღუდული გაგებინების შემთხვევაში კი (მაგ. თუშური და გურული) პირიქით – ერთი და იმავე ენის დიალექტებს წარმოადგენდნენ.

ყველა ენაში (და ყოველთვის) მოქმედებს დიფერენციაციისა და უნიფიკაციის პროცესები.

დიფერენციაციის პროცესის შედეგად წარმოიქმნება დიალექტები, ხოლო მნიშვნელოვანი განსხვავების შემთხვევაში ორი დიალექტი შესაძლოა გადაიქცეს ორ ენად.

ახალი დიალექტები ყალიბდება ერთი ენობრივი ჯგუფის წევრებს შორის ენობრივი კონტაქტების შესუსტებისა და თანდათანობითი მოშლის შედეგად; და ეს ბიძგს აძლევს დიალექტური თავისებურებების გაჩენას.

ჩვეულებრივ, კონტაქტების მოშლა ხდება ტერიტორიული ან საკომუნიკაციო მიზეზებით (დიდი ტერიტორია, მიუვალი ხეობები და სხვ.).

ამასთანავე, ტერიტორიის სიდიდე ცალსახად არ განსაზღვრავს დიალექტების რაოდენობას. მაგალითისათვის ქართული და რუსული დიალექტების შედარებაც საკმარისია.

დიფერენციაციის საპირისპიროა უნიფიკაციის პროცესი, როდესაც ხდება დიალექტური სხვაობების მოშლა და საერთო ნაციონალური ენის ჩამოყალიბება.

ეს ორი პროცესი ერთმანეთს ანონასწორებს, მაგრამ შესაძლებელია, რომ დროის სხვადასხვა მონაკვეთში მათი შეფარდება სხვადასხვანაირი იყოს.

დიალექტები ინარჩუნებენ ბევრ ენობრივ მოვლენას, რომლებიც სალიტერატურო ენას აღარ აქვს ან ავითარებენ ისეთ თავისებუ-

რებებს, რომლებიც სალიტერატუროში ან საერთოდ არ განვითარდა, ან განვითარდა, მაგრამ სხვა მიმართულებით.

სალიტერატურო ენა და დიალექტები მუდმივად ურთიერთმოქმედებენ და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე, რასაკვირველია, უფრო ძლიერია, ვიდრე დიალექტებისა – სალიტერატურო ენაზე.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის საფუძველია თბილისური ქართული. თბილისში გამომუშავდა ის საერთო-ქართველური სამეტყველო თარგი, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გეზი.

ს. ჟღენტის აზრით, ქართულ სალიტერატურო წარმოთქმას ძირითადად სრული სტილი ახასიათებს იმის გამო, რომ ორთოეპია (მართლმეტყველება) ნაკლებ არის დაშორებული ორთოგრაფიას (მართლწერას).

გ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ „ცოცხალ მეტყველებაში ყოველი სამეტყველო ბგერა უეჭველად განიცდის მეტ-ნაკლებ ცვლილებას ბგერათშეერთების წესების ძალით... სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა წერილმეტყველებისა და ზეპირმეტყველების გარკვეული წესებით რეგულირება“.

იმის გამო, რომ სალიტერატურო ენას ახასიათებს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმა, ხოლო დიალექტები წარმოადგენენ ენის უმწერლობო ფორმას და არსებობენ მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში, მათი შესწავლისათვის გამოიყენება ანკეტური და უშუალო დაკვირვების მეთოდები.

ამ უკანასკნელის გამოყენებით, წინასწარ გამზადებულ პროგრამა-კითხვარზე დაყრდნობით ხდება ცოცხალი მეტყველების აუდიო (შესაძლოა ვიდეოც) ჩანერა, რაც საბოლოოდ ენობრივი თავისებურებების კვლევის საშუალებას იძლევა.

## 2.1. ქართული სალიტერატურო ენა

2.1.1. *ბგერითი შედგენილობა*. ხმოვნები – ა, ე, ი, ო, უ; სონორი თანხმოვნები – ვ, რ, ლ, მ, ნ; ჩქამიერი მჟღერი თანხმოვნები – ბ, დ, გ, ძ, ჯ, ზ, ყ, ლ; ჩქამიერი ყრუ თანხმოვნები – ფ, პ, თ, ტ, ქ, კ, ც, წ, ჩ, წ, ს, შ, ხ, ყ, ჰ.

2.1.2. *ბგერათცვლილებები*. სალიტერატურო მეტყველების საანალიზო ნიმუშებში ხმოვნები ძირითადად ინარჩუნებენ ტემბრულ და რაოდენობრივ მახასიათებლებს. იშვიათად ხდება ფრაზის ბოლო ხმოვნის ნაწილობრივი დასუსტება (რედუქცია); ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სასცენო მეტყველების სტილისათვის დამახასიათებელია ფრაზის ჩურჩულით დასრულება, რის გამოც არა თუ მჟღერი თანხმოვნები, არამედ ხმოვნებიც კი „ყრუვდებიან“.

სიტყვათა მიჯნაზე ორი ერთნაირი ხმოვნის შეერთება აღიქმება, როგორც ერთი გრძელი ხმოვანი, ხოლო კითხვითი ინტონაციის გამოსახატავად (მაგ.: *გყავთ?*) – პირიქით, ერთი ხმოვანი წარმოითქმის როგორც ორი ბგერა.

თანხმოვნებში ბგერათცვლილებები ძირითადად ასიმილაციური ხასიათისაა: მჟღერი ხშულის დაყრუება მომდევნო ყრუ თანხმოვნის მიერ (გყ>კყ, ბს>ფს, ლს>ხს) და გლოტალიზებული გაფშვინვიერება (ტს>თს), ხოლო სიტყვათა მიჯნაზე – პროგრესული გამჭოლი ასიმილაცია რ სონორის დაკარგვასთან ერთად (თგრძ>თქც).

სიტყვათა მიჯნაზე ორი ხშულის შეხვედრისას შესაძლებელია მჟღერი თანხმოვნის იმპლოზიური წარმოთქმა, ანუ ეს თანხმოვანი წარმოითქმის სკდომის გარეშე, ოდენ ხშვის ფაზით, რასაც უშუალოდ უერთდება მომდევნო თანხმოვნის ხშვა: (*ხუმრო(ბ)თუ; სანადირო(დ)წავიყვანოთ*).

ბოლოკიდური მჟღერი ხშული თანხმოვნების დაყრუება ორი ტიპისაა: I – ბ>ფ, დ>თ; II – ბ>ყრუ *mediae*. I ტიპის დაყრუებული ბგერა (ყრუ, არაფშვინვიერი, არაგლოტალიზებული) არ ემთხვევა ქართულის არც ერთ ბგერას.

სხვა ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია – აფრიკატიზაცია (რდზ>რძ), რ, მ, ვ – სონორების დაკარგვა, ბგერათშერწყმა (ს+ს>ს, მ+მ>მ).

2.1.3. *პროსოდია*. ქართულ ნორმატიულ მეტყველებას ახასიათებს დინამიკური სიტყვათმახვილი, მახვილიანი ხმოვანი უმახვილოსთან შედარებით ოდნავ მეტი ინტენსივობითა და გრძლივობით გამოირჩევა. ამასთანავე, როგორც წესი, მახვილიანი ხმოვანი უფრო მაღალი ტონითაც ხასიათდება, და ეს კომპონენტი წინადადების ინტონაციური გაფორმებისათვის არის რელევანტური.

მახვილი სიტყვებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პირველ მარცვალზე მოუდის. მეორე მარცვალზე მახვილი შეიძლება ჰქონდეს ოთხმარცვლიან სიტყვას. ექვსმარცვლიან სიტყვებში თანამახვილი შესაძლოა ბოლოდან მესამე ან მეოთხე მარცვალს მოუდიოდეს.

ცნობილია, რომ გამონათქვამის პროსოდიის განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტებია – ძირითადი ტონის ცვლილება, ინტენსივობა და გრძლივობა; ასევე, მნიშვნელოვანია პაუზა, მეტყველების ტემპი და ტემბრი, როგორც ემოციის გამოხატვის საშუალება.

ფონეტიკური თვალსაზრისით წინადადება იყოფა უფრო მცირე მონაკვეთებად – სინტაგმებად, მათთვის დამახასიათებელი ინტონაციური კონტურებით. ძირითადი ინტონაციური კონტურებია: აღმავალი, დამავალი, თანაბარი. უნდა ითქვას, რომ ტონის ცვლილება ერთი მარცვლის ან ერთი სინტაგმის ფარგლებში შესაძლოა იყოს მკვეთრი (↓ ↑) ან ნარნარა (↗ ↘).

თხრობით ინტონაციას, ჩვეულებრივ, ახასიათებს წინადადების დასრულება დამავალი კონტურით. თუმცა შესაძლოა წინადადების არაბოლო სინტაგმები სხვადასხვა ტიპის სინტაქსური წყობის წინადადებების მიხედვით (მარტივი ან რთული) სხვა ტიპის ინტონაციური კონტურებითაც იყოს გაფორმებული. აღსანიშნავია, რომ წინადადების დანაწევრება სინტაგმებად ხორციელდება

ორგვარად: სინტაგმათშორისი პაუზის მეშვეობით და სინტაგმის ინტონაციური სურათის მიხედვით.

ამ მხრივ საინტერესოა კავშირისა და პაუზის ადგილის მიმართება თხრობით წინადადებაში. თუ რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს აერთებს მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ“, პაუზა შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს კავშირს. იმ შემთხვევაში, როდესაც რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს აერთებს მაჯგუფებელი კავშირი „და“, პაუზა უფრო ხშირად მოსდევს მას, მაგრამ დასაშვებია პაუზის არსებობა როგორც წინ, ისე ორივე მხრიდან. თუ „და“ კავშირი აერთებს შერწყმული წინადადების ერთგვაროვან წევრებს წინადადების შუაში, იგი შეიძლება არც გამოიყოს პაუზით ან რომელიმე სინტაგმური მახვილით.

ქვეწყობილ წინადადებაში, რომლის ნაწილები დაკავშირებულია მაქვემდებარებელი კავშირებით „რომ“ და „რომელიც“, პაუზა პირველ შემთხვევაში იქნება კავშირის შემდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში – წინ.

ძახილის წინადადების ინტონაციური კონტური ძირითადად აღმავალ-დამავალია, მაგრამ არა ისეთი დამავალი, როგორც თხრობითისა. სხვადასხვა ემოციური ელფერით წარმოთქმული ძახილის წინადადებების პროსოდიული სურათი შესაბამისად მრავალფეროვანია ინტენსივობისა და ტემბრის მიხედვით.

კითხვითი წინადადება ორგვარი ტიპისაა: კითხვითი ნაწილაკით ან სიტყვით და მათ გარეშე. კითხვითი სიტყვის ან ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილი კითხვითი წინადადებისათვის დამახასიათებელია ზმნა-შემასმენლის ბოლო ხმოვნის ტონის აწევა და დაგრძელება. საინტერესოა განმეორებითი შეკითხვის პროსოდიული სურათი ერთმარცვლიანი ზმნა-შემასმენლის შემთხვევაში (*გყავთ ოჯახი?*). კითხვითობის გასაძლიერებლად ხდება ხმოვნის საკმაოდ დაგრძელება (დაახლოებით 2,5 ჯერ) და ხმოვანი წარმოდგენილია სინტაგმის დამახასიათებელი *აღმავალ-დამავალ-მკვეთრად აღმავალი*

ინტონაციური კონტურით, რაც საბოლოო ჯამში ორი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

კითხვითი სიტყვით ან ნაწილაკით გაფორმებული კითხვითი წინადადება გამოხატულია სხვადასხვაგვარად, მაგრამ მთავარია ის, რომ ტონის აწევა და გრძლივობის ზრდა ხდება ან კითხვით სიტყვაზე, ან ნაწილაკზე, ან ზმნა-შემასმენელზე, ან კიდევ ერთდროულად – კითხვით სიტყვაზე (ნაწილაკზე) და ზმნა-შემასმენელზე. თუ რომელი ვარიანტი იქნება რეალიზებული, ეს დამოკიდებულია კითხვითი სიტყვის ან ნაწილაკის და ზმნა-შემასმენლის მარცვლების რაოდენობაზე.

კითხვითი წინადადება შესაძლოა იყოს სინტაქსურად არასრული (ზმნა-შემასმენლის გარეშე). მაგ.: *თქვენი გვარი?* – ამ წინადადებაში ტონი აინევს ბოლო ხმოვანზე.

კითხვითი წინადადების პროსოდიული სურათისათვის ზოგადად დამახასიათებელია სამი ინტონაციური კონტური: აღმავალი, აღმავალ-დამავალი და აღმავალ-დამავალ-აღმავალი.

#### **2.1.4. ორთოეპიული დარღვევები სალიტერატურო ნარმოთქმაში**

*ხშირათ* – ხშირად (N - 4 – M)

*შესახებ*(იმპლოზიური ბ) (N - 4 – M)

*უძღურათქცნობდა* – უძღურად გრძნობდა (N - 6 – M)

*მარგალითს* – მარგალიტს (N - 11 – M)

*გვერძე* – გვერდზე (N - 12 – F)

*დახს* – დაღს (N - 19 – F)

*აღრიანათ* – აღრიანად (N - 20 – M)

*სანადიროთ* – სანადიროდ (N - 20 – M; Q – 25 – M)

*გაიგეფ* – გაიგებ სურ. 17-18, (N - 31 – M)

*ფთხილათ* – ფრთხილად (N - E - 8 – F; N - E - 18 – F)

*ექიმა* – ექიმმა (N - Q - 17 – M)

*კარგათ* – კარგად სურ. 19-20, (Q – 2-3 – F)

*ავათ* – ავად (Q – 4-5 – M)

*შენისთანადამიანისაგან* – შენისთანა ადამიანისაგან (Q – 4-5 – M)

სადაიბადე – სად დაიბადე სურ. 7, (Q - 6 – M)  
ხუმრო(ბ)თუ – ხუმრობ თუ სურ. 8, (Q - 9 – F)  
ანკეს – ანკესს სურ. 9, (Q - 12 – F); სურ. 11, (Q - 18 – F)  
საჩუქრათ – საჩუქრად სურ. 10, (Q - 17 – F)  
გაუფთხილებლობა – გაუფრთხილებლობა (Q - 4-5 – M)  
იბადებასეთი – იბადება ასეთი (Q - 19 – M)  
ბავშობაში – ბავშვობაში (Q - 19 – M)  
ხო – ხომ (Q - 23-24 – M)  
უპატრონო – უპატრონოდ (Q - Imp - 7 – M)  
სანადირო(დ)წაგიყვანო – სანადიროდ წაგიყვანო (Q - Imp - 20 - M)

2.1.5. აუდიოხანაწერების ფონეტიკური ტრანსკრიფცია

SAL-E-22-M ახლა უკვე დიდი ბიჭები ხართ!

SAL-N-1-M მზინია მინდი დედა.

SAL-N-2-M არემარეს გაზაფხულის ელფერი ეღო.

SAL-N-3-M მოუსვენარი ბელურები ხეებზე დახტოდნენ!

ზოგიერთი გათავხედებულნი კი და აფანჯრებში ცმოძვრებოდნა.

SAL-N-4-M მამიდა ხშირათუამბობდა!

სკოლაში გამართული ღიტირატურული სწავლების შესახებ.

SAL-N-6-M ლადოს საზოგადოდ მწარე ნაჭქონდამაგრამ!

მაში დისში მართუი არაღრთ და უძღურათ ქცნობდა თავს.

SAL-N-9-F მოსწავლეები წავიყვანეთ!

აღვეთის ჭალაში ექსკურსიაზე დაიქვა ვცვივდი.

SAL-N-10-F შეაქუნდა დავრჩედა თუ მოკვდი ესმარგალიტი!

შენს მოძავალ ცოლს გადაეცი.

SAL-N-11-M ლადოელ დანაცემი ბრუნდებოდა სახლში!

დახელში უაზროდა ტრიალებდა ვარდისფერ მარგალითს.

SAL-N-12-F თემო კაკლის ჩრდილში წამოწოლილი ყო!

წივი გვერდებ გადაეღო და უაზროდ მიშტერებოდა ხეცას.

SAL-N-14-F დათორღო შემოხვდა განზრახვას და ანკესარწამოგებო.

SAL-N-15-F მოყვარული მეთევზეები ხელმოცარულანდროს!

გაცუბული შესცქეროდნენ.

SAL-N-19-F ოჯახური ბაზრდა სასკოლოდამაღლესი განათლებამ!

საზოგადოებრივი ერთიერთობა დაცხოვერების აკარავი!

თავის დახსნას ვამსა დამიანს აყალიბებ ბსმას როგორც პიროვნებას.

მაგრამ ჩვენ უბრალოდ უნებავდა დამიანი საისი სხეულებს უკვებავს ვობაში||  
მის ყველაზე დრინდელ საფეხურზე.

SAL-N-20-M კვირადილას მამანქმადრიანი ათვალიოდა სახლიდან და||  
ჩვენ | ერთხელაც | კი ვერ გავიღვიძეთ რომ ||  
მამას სანადიროთ წავყვლოდით.

SAL-N-2-3-F მამამ გონიალარხუმრობდა.

SAL-N-31-M ყველაფერს რომის წავლი || ყველაფერს კარგად გაიგეფ.

SAL-N-32-M ის ქართულ მონასტერში ბერად იყო.

SAL-N-E-8-F გირგემი ნახელეებულ ბედელ შიშეაპარაბიჭი და |  
დაპირველად | ფრთხილათ || კომბალს არ წამოვეგო!

SAL-N-E-18-F

მიტომ გაიგონათ უარსი ბნელეში მოახლოებულ ფეხის სმა შესძახა ||  
ფრთხილათ | ფიწალს არ წამოვეგო.

SAL-N-Q-16-M ავადმყოფს | ძლიან კეთილი დასვენების ანთვალები ჰქონდა ||  
ექიმმა სკამზე მიუთითა || თქვენ გვარნი?

SAL-N-Q-17-M

ავადმყოფმა ეტყობა შეკითხვა ვერ გაიგონა და ექიმს კითხვა გაუმეორა ||  
კვავათოჯახი?

SAL-Q-1-M რას მივაწეროთ შენი მოზრძანება?

SAL-Q-2-3-F რას ნიქმ? | როგორ ხარ? | დედა და დეიდა ხომ | კარგათ არიან?

SAL-Q-4-5-M როდის გახდით ავად? | როგა უფრო ხილვებლობა |  
შენი სთან დამიანი საგან?

SAL-Q-6-M სადა იბადე?

SAL-Q-9-F ხუმრო (ბ) თუ | მართლა ამეუბნებ?

SAL-Q-12-F ნუთუთევზიანკეს|არწამოევო?

SAL-Q-17-F მამამსანუქრატ|რამოგიტანა?

SAL-Q-18-F თევზიანკეს|არწამოევო?

SAL-Q-19-M იბადებსსეთიკითხვა|განაშეიძლებავიფიქროთრომ|

ადამიანისმოქალაქეობრივი||

ფილოსოფიურიდაპოლიტიკურიმრწამსი|პირდაპირი|

უშუალოშედეგია||ბავშობაშიმიღებულიშთაბეჭდილებებიან?

SAL-Q-21-F რომცგავკვიძებოდა|წავგიყვანდა?

SAL-Q-23-24-M სადმიგყავსესბავშვები?

||ვითრმშენიხეტიალიარმეყოფა||ესბავშვებიცვინდაგადარიო|ხო?

SAL-Q-25-M გვერარომ|მამამართლანწავგიყვანსსანადიროთ?

SAL-Q-An-8-F რასმივაწეროთ|შენიმობრძანება?||მომენატრედამოვედი.

SAL-Q-Imp-7-M როდემდეუნდაიწვეასუეუპატრონოთ?||

დღესვეადმოდიჩემთან!

SAL-Q-Imp-20-M თუგინდათრომხვალ|სანადირო(დ)წავგიყვანოთ|დღეს|

დროზედაწექით!

## 2.2. ბუჩქული დიალექტი

2.2.1. *ბგერითი შედგენილობა.* გურული მეტყველების ნიმუშებში, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია ნახევარხმოვნები (აპროქსიმანტები) – *ჲ* და *ჳ* (უფრო იშვიათად).

*ჲ* – შეიძლება იყოს როგორც დამავალ, ისე აღმავალ დიფთონგში.

არც თუ იშვიათად, სპონტანურად წარმოითქმის გ- ნეიტრალური ხმოვანი წინადადების დაწყებისას, ან პაუზის შესავსებად; აგრეთვე, ფრაზის ბოლოს – რედუქციის შედეგად.

2.2.2. *ბგერათცვლილებები.* ხმოვნებში რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: აუ>ოუ, ავუ>ოუ>უუ, აი>ეი, ოვი>ევი. ევ მიმდევრობა იძლევა ო – ხმოვანს.

ასევე, დასტურდება წინადადების ბოლო ხმოვნის რედუქციის (დამოკლების და დასუსტების) შემთხვევები.

ხშირია ასიმილაცია თანხმოვნებშიც: რქ>თქ, მხ>ფხ, ბს>ფს, დ>თ, გს>ქს, გყ>კყ, ვჳ; არის ვ, რ, მ, ს, გ ბგერების დაკარგვისა და მ-ს განვითარების შემთხვევები, ასევე სპირანტის აფრიკატიზაციის რშ>რჩ და კ>ქ, ყ>კ სუბსტიტუციის შემთხვევები.

2.2.3. *პროსოდია.* ქვემო და ზემოგურული, მიუხედავად პროსოდიული განსხვავებულობისა, მაინც ერთ დიალექტად განიხილება. გურულ დიალექტში მახვილი ძირითადად დინამიკურია, ორმარცვლიან სიტყვას მახვილი მოუდის პირველ მარცვალზე, სამ და ოთხმარცვლიანებს მახვილი შეიძლება მეორე ხმოვანზეც ჰქონდეთ; ამ შემთხვევაში მახვილიანობა შესაძლოა ხმოვნის გრძლივობით იყოს გამოხატული. სხვა შემთხვევებში ოთხმარცვლიანებში, როგორც წესი, პირველი და მეორე ხმოვანი თანაბარი სიძლიერისაა.

ამასთანავე, ოთხ- და მეტმარცვლიანებში ბოლოდან მეორე მარცვალს მოუდის თანამახვილი, რომელიც, როგორც უკვე

ითქვა, ხშირად ხმოვნის დიდი გრძლივობით ან მაღალი ძირითადი ტონით ხასიათდება.

გურული გაბმული მეტყველებისათვის დამახასიათებელია ინტონაციის თითქმის ყველა კომპონენტის მრავალფეროვნება.

თხრობითი წინადადების დაბოლოება ყოველთვის დამავალი ინტონაციური კონტურით არის გამოსატყული.

სინტაგმათა გასამიჯნად ეფექტურად გამოიყენება ტონის მკვეთრი ცვლილება (თვით ერთი ხმოვნის ფარგლებშიც კი). შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვანი წევრები გადმოიცემა აღმავალ-დამავალი, ან დამავალი ინტონაციური კონტურით, ამასთანავე, შესაძლოა ბოლოდან მეორე ხმოვნის დაგრძელება.

თხრობითი წინადადების ბოლო მარცვალი შესაძლოა ტონის ოდნავ აღმავალ-დამავალ სურათს იძლეოდეს, რაც გამოსატყავს მთქმელის პოზიციას წინადადებაში მოცემული მოქმედების მიმართ.

დახილის წინადადებისათვის დამახასიათებელია დამავალი ტონი ბოლო ხმოვნის დაგრძელებით ან დაგრძელების გარეშე. ამავე რიგს უნდა მიეკუთვნოს ფრაზა „ჩართე!“, რომელსაც წინ უსწრებს შეკითხვა „ჩავართო?“. პასუხი, წარმოთქმული მიმართვის ფორმით, მოითხოვს ბოლო ხმოვნის გაფორმებას აღმავალ-მკვეთრად დამავალი ტონის ცვალებადობით და დაგრძელებით.

კითხვითი ინტონაციისათვის დამახასიათებელია ბოლო ხმოვანზე ტონის მკვეთრი აწევა, ან აწევა და დადაბლება. ხშირად არა აქვს მნიშვნელობა – კითხვითსიტყვიანია წინადადება თუ არა და ზმნა-შემასმენელია ბოლო ადგილზე, თუ მეტყველების სხვა ნაწილი.

კითხვითსიტყვიან წინადადებაში, სადაც ტონის აწევა კითხვით სიტყვაზე და ზმნა-შემასმენელზეა, წინადადების ბოლო ზოგჯერ შეიძლება სხვაგვარადაც იყოს გაფორმებული (მხოლოდ არა თანაბრად დამავალი, ანუ არათხრობითის კონტურით).

ზოგადად გურული დიალექტისათვის დამახასიათებელია მეტყველების სწრაფი ტემპი ძირითადი ტონის მოდულაციებით ერთი

ხმოვნის ფარგლებშიც კი, და ხმოვნის გრძლივობის და ინტენსივობის მრავალფეროვანი შეხამებით.

**2.2.4. ცოცხალი დიალექტური მეტყველების ფორმები**

- რო – რომ სურ. 39-40, (N – 1 – M; N – 13 – M)
- ქე ახვალ საღმეს – კი ახვალ საღამოს სურ. 39-40, (N – 1 – M)
- მშველიც – შველიც (N – 2 – M)
- ერთმა – ერთმა სურ. 25, (N – 3 – M)
- ამიილო – ამოილო სურ. 25, (N – 3 – M)
- ეთქვა – ერქვა სურ. 41-42, (N – 4 – M – M)
- იიილო – იგი ის იყო სურ. 41-42, (N – 4 – M – M)
- კაჩალათ – ყაჩალად (N – 6 – M)
- ქვიებია – თურმე ერქვა სურ. 27, (N – 7 – M)
- აფხანაგები – ამხანაგები სურ. 28, (N – 8 – M)
- უშუეფს – უშეფს სურ. 28, (N – 8 – M)
- გოუჯავრებია – გაუჯავრებია სურ. 43-44, (N – 11 – M)
- ააშა – იაშა სურ. 43-44, (N – 11 – M)
- ლოუწერიათ – დაუწერიათ (N – 12 – M)
- გუტანებია – გაუტანებია (N – 12 – M)
- ამხანავიზა – ამხანავისთვის (N – 12 – M)
- ფთხილათ – ფრთხილად (N – 13 – M)
- გოუტენია – გაუტენია (N – 13 – M)
- ზოქ(ს) – ზოგს სურ. 45-46, (N – 14 – M)
- მონარჩული – მონარშული სურ. 45-46, (N – 14 – M)
- ქი გუუძელი კილო – კი გავუძელი კიდეც (N – 17 – F)
- ლაფ – ღა (N – 18 – F)
- მევიდა – მოვიდა (N – 19 – F)
- ავერ – აქ (N – Q – 16 – F)
- გეიარო – გაიარო (N – Q – 16 – F)
- იქინე – იქ (N – Q – 16 – F)
- ჩეიცვი – ჩაიცვი (N – Q – 16 – F)

*გეიძრე* – გაიძრე (N – Q – 16 – F)  
*წამეიღე* – წამოიღე (N – Q – 16 – F)  
*ხლაფორთი* (N – Q – 16 – F)  
*აქ* – აქვს (N – Q – 16 – F; Q – 14 – F)  
*სიდან იცნოეთ* – საიდან იცნობთ სურ. 31, (Q – 1 – F)  
*აი < აგი* – ეს (Q – 2 – F)  
*რაფერი* – როგორი სურ.33, (Q – 4 – M)  
*გაქ* – გაქვს სურ.33, (Q – 4 – M)  
*გაქთ* – გაქვთ სურ. 35, (Q – 7 – M)  
*სა* – სად სურ. 36, (Q – 8 – F)  
*აქნე* – აქ სურ. 36, (Q – 8 – F)  
*არსებოვს* – არსებობს სურ. 47-48, (Q – 9 – M)  
*ქონდა* – გქონდა სურ. 38, (Q – 13 – M)  
*რაფერ* – როგორ (Q – 14 – M)  
*ოზღაორში* – ოცდაორში (Q – An – Q – 10 – M – M)  
*ოზღაოთხში* – ოცდაოთხში (Q – An – Q – 10 – M – M)

GUR-An-1-M ჩართე!

GUR-E-An-1-F-F ნანიკონა!—ბატონო.

GUR-N-1-M ცხენითაზლაროწახვალ||ქეახვალ||საღმეს.

GUR-N-2-M ნაღირიკი||მგელი||დათვი||არჩვი||მშველიცარის.

GUR-N-3-M ოერთმახმალამეილო.

GUR-N-4-M-M (M-I) ანამაგასსერგოეთქვამა|| (M-II) არანილო.

GUR-N-5-M ერთილომჯარიაიყო.

GUR-N-6-M კანაღათიყო|ბატონემობისდროს.

GUR-N-7-M დიომიდე||ქვიებიანაკაცს.

GUR-N-8-M გაქცეულადაპოხნაგებიარაშეუქვს.

GUR-N-9-M ესმისისაქმარო.

GUR-N-10-M ესადგილიანაკოტრევი.

GUR-N-11-M გორგისგოუჯავრებიანამადა|გაქცეულა.

GUR-N-12-M დოუწერიით||წიგნიდა||გუტანებიანამორიამხანაგზა.

GUR-N-13-M ისეფთხილათჩამოვიდაამხელანადირი||ტყინდან||  
როჭვიპარტიცარგოუტეხია.

GUR-N-14-M ესოქსმოხარულიუყვარს|ხოქ(ს) შემწვარბუყვარს.

GUR-N-15-M თვისისთავადგამოყონჭილიარის.

GUR-N-17-F ქიგუუძელიკილო.

GUR-N-18-F ხოლაქმავსაბასხელზედადაუბერავსულს.

GUR-N-19-F ბავშვიველარსუნთქავსიქეა||მევიდაუქიმი.

GUR-N-Q-16-F ავერგეიაროუნდა|მერეახლავიქინე|პლანტაციაშიჩეიცივი|  
მერევეიძევიპლანტაციაში|ესამეილეგზახეაამდენი||

ხლაფორთისტავივისააქ?

GUR-Q-1-F სიდანნიცნოფოთქვენკირილეს?

GUR-Q-2-M ჩართულააითუ?

GUR-Q-4-M ყანარაფერიგაქმენ?

GUR-Q-5-M პიქდრორომშეიცვალა?

GUR-Q-6-M გშენარიცვინიმიილ?

GUR-Q-7-M ჩართულგაქთახსლა?

GUR-Q-8-F საიყოქანუ?

GUR-Q-9-M კიმარაქამისწამაღიარსებოფსამქვეყანასრამეთუიცი?

GUR-Q-11-M ნაბელლავეშიიშუშვეთ?

GUR-Q-12-M შეასრულე?

GUR-Q-13-M შენგეგმარამდენიქონდაქანაწელს?

GUR-Q-14-M რაფერაქქობულავასგეგმისსაქმე?

GUR-Q-An-3-M-M აღილღონდა?—კიკიბატონო.

GUR-Q-An-10-M-M ოზდარშითუ?—ზდართხში.

GUR-Q-An-15-M-F შეილღინდაქმენიხლა?—||კალინგრადში||

სამხედროში.

## 2.3. იმერული დიალექტი

2.3.1. *ბგერითი შედგენილობა.* იმერული დიალექტის ფონეტიკური ანალიზი ეყრდნობა ქვემოიმერული მეტყველების ნიმუშებს, კერძოდ, გაანალიზებულია ვანის, ბაღდათის და სამტრედიის რაიონის მკვიდრთა მიერ წარმოთქმული წინადადებები.

სალიტერატუროსაგან განსხვავებით ქვემოიმერული სათვის დამახასიათებელია ნახევარხმოვანი – ე და ჟ ბგერები. ე – წარმოითქმის ი – ხმოვნის დავიწროების შედეგად აღმავალ და დამავალ დიფთონგებში და ტრიფთონგებში. საანალიზო მასალაში თითო მაგალითითაა წარმოდგენილი ჟ (*თითჟან*) და ნეიტრალური ხმოვანი გ (*დეგარგა*).

2.3.2 *ბგერათცვლილებები.* წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით, იმერული სათვის დამახასიათებელია ხმოვნების ნაწილობრივი ან სრული რედუქცია და ასიმილაცია. ნაწილობრივი რედუქციის შედეგად ხმოვანი მოკლდება: ი გადადის ე ნახევარხმოვანში, ხოლო უ>ვ თანხმოვანში. ასიმილაციის შედეგად ა>ე, აუ>ოუ, ავ>ოვ, ვე>ო. საყურადღებოა აგრეთვე ო>ჟა ცვლილება.

თანხმოვნებში ხშირია როგორც ვ, რ, ლ, მ, ნ, ს, დ, თ – თანხმოვნების დაკარგვა, ასევე ვ, მ, ს – თანხმოვნების გაჩენა. ტიპურია სუბსტიტუციის (კ>ქ, ბ>პ, ლ>რ), დისიმილაციის (რ>ლ), მეტათეზისის (*წიხლი>წრიხი*), დეზაფრიკატიზაციისა (სწ>სტ) და მჟღერი თანხმოვნის დაყრუების შემთხვევები.

2.3.3. *პროსოდია.* ქვემოიმერულში სიტყვათმახვილი არ არის ფიქსირებული. სამმარცვლიან სიტყვაში მახვილიანი შეიძლება მეორე ხმოვანიც იყოს, ოთხმარცვლიანში – ყველა, გარდა ბოლო ხმოვნისა, ხუთმარცვლიანში – მესამე ან მეოთხე. მახვილის გამოსატვისათვის ქვემოიმერული იყენებს მახვილის სამივე კომპონენტს – გრძლივობას, ინტენსივობას და ტონს. ხმოვნის მახვილიანობა, როგორც წესი, გამოსატულია მაღალი ტონით და თანმხლები ერთ-ერთი ან ორივე კომპონენტით. ანუ შეიძლება

ითქვას, რომ ქვემოიმერულისთვის დამახასიათებელია მუსიკალურ-დინამიკურ-კვანტიტეტური მახვილი.

თხრობითი წინადადების დაბოლოება, როგორც წესი, დამავალი ინტონაციური კონტურით არის გაფორმებული, თუმცა წინადადებაში მოხსენიებული ფაქტების ან მოქმედების დაპირისპირებისას ტონი აინევს ბოლო ხმოვანზე. თხრობითი წინადადების დანარჩენი სინტაგმები წინადადების სინტაქსური წყობის მიხედვით შესაძლებელია გაფორმებული იყოს დამავალ-აღმავალი, აღმავალ-დამავალი, თანაბარი, დამავალი და აღმავალი ინტონაციური კონტურებით.

კითხვით წინადადებაში, სადაც კითხვითი სიტყვა არ არის, ტონი აინევს ან ბოლო ხმოვანზე, ან კიდევ ბოლოდან მეორე/მესამე ხმოვანზე. ამ შემთხვევაში მაღალი ტონი შეუნარჩუნდება უცილობლად დაგრძელებული ბოლო ხმოვნის პირველ ნაწილს, ხოლო მეორე ნახევარში ტონი დაბლა დაინევს.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ კითხვითი სიტყვის გარეშე კითხვითობა გამოსატულია ან აღმავალ-დამავალი კონტურითა და ბოლო ხმოვნის დაგრძელებით, ან მხოლოდ აღმავალი ინტონაციური კონტურით.

კითხვითსიტყვიან წინადადებაში, ჩვეულებრივ, ტონი აინევს კითხვით სიტყვაზე. ზმნა-შემასმენლის ინტონაციური სურათი დამოკიდებულია მის მარცვალთა რაოდენობაზე: ერთ-მარცვლიანში ტონი დაინევს (შესაძლოა ხმოვანიც დაგრძელდეს), ორ- და მეტ მარცვლიანებში ტონი აღმავალ-დამავალია.

თუ კითხვით სიტყვას წინ უსწრებს (პროკლიტიკა) დამხმარე სიტყვები (ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული), ტონის აწევა ხდება სწორედ ამ სიტყვებზე და კითხვით სიტყვაზე ტონი აღარ აინევს. ეს მოვლენა თავს იჩენს მაშინაც, როდესაც კითხვა გადმოცემულია ირიბ გამონათქვამში.

#### 2.3.4. ცოცხალი დიალექტური ფორმები

- ლოთოფს – ლოთობს სურ. 49, (An – 1 – F)  
გაყობი – გაყვები (An – Q – 1 – F)  
აპა რა – აბა რა (An – Q – 1 – F)  
მარა – მაგრამ (An–Q–1–F)  
იმისანა – იმისთანა სურ. 51, (N – 4 – M)  
აქანედ – აქ სურ. 51, (N – 4 – M)  
ყოლაფერს – ყველაფერს სურ. 52, (N – 5 – M)  
მოკლეთი – მოკლეთ სურ. 52, (N – 5 – M)  
ეწეოდენ – ეწეოდნენ სურ. 52, (N – 5 – M)  
მაშეინ – მაშინ (N – 6 – M)  
ღროია – ღროა (N – 6 – M)  
კიდო – კიდევ სურ. 56, (N – 7 – M; N – 13 – M; Q – 6 – M)  
გავაგ ზავრე – გავამგ ზავრე სურ. 69-70, (N – 8 – M)  
იქინა – იქ სურ. 54, (N – 9 – M)  
ნამუშევარა – უმუშავია სურ. 55, (N – 11 – M)  
თვარა – თუ არა სურ. 57, (N – 14 – M)  
წვევლით – წავვლით სურ. 57, (N – 14 – M)  
გვიჭირავდენ – გვიჭერდნენ სურ. 57, (N – 14 – M)  
აქაური – აქაური (N – 15 – M)  
იქაური – იქაური (N – 15 – M)  
უკარი – ვუკარი სურ. 58, (N – 16 – F)  
წრიხი – წიხლი სურ. 58, (N – 16 – F)  
წოუქციე – წავუქციე სურ. 58, (N – 16 – F)  
ფეხეფში – ფეხებში სურ. 58, (N – 16 – F)  
შიერი – მშიერი სურ. 59, (Q – 1 – M)  
კვდები – კვდები სურ. 59, (Q – 1 – M)  
თითუან – თვითონ (Q – 2 – M)  
რაღ – რა სურ. 62, (Q – 10 – F; Q – 5 – M)  
ღამთავდა – ღამთავრდა (Q – 6 – M)  
მაი – (მაგი), მაგ, ეგ (Q – 6 – M)

*ხო არ* – ხომ არ სურ. 61, (Q – 9 – F)  
*წვეილოდი* – წავილოდი სურ. 61, (Q – 9 – F)  
*მაქ* – მაქვს სურ. 61, (Q – 9 – F)  
*დავტოვეუ* – დავტოვებ სურ. 61, (Q – 9 – F)  
*ქე* – კი სურ. 62, (Q – 10 – F)  
*შემცხვა* – შემრცხვა სურ. 62, (Q – 10 – F)  
*რად* – რა სურ. 62, (Q – 10 – F)  
*შრომლოვ, წვალლოვ* – ვშრომობ, ვწვალობ სურ. 63, (Q – 11 – F)  
*არაფელი* – არაფერი (Q – 12 – F)  
*არასფელიო* – არაფერიო სურ. 66, (Q – An – 8 – M)  
*მოის* – მოდის (Q – 14 – M)  
*სიმიდი* – სიმინდი (Q – 14 – M)  
*სტავლა* – სწავლა სურ. 64, (Q – 16 – M)  
*სახში* – სახლში სურ. 65, (Q – 19 – M)  
*რო* – რომ სურ. 65, (Q – 19 – M)  
*რათ* – რად სურ. 65, (Q – 19 – M)  
*ღეიარება* – დაიარება სურ. 71-72, (Q – An – 7 – M)  
*უთქეია* – უთქვამს სურ. 71-72, (Q – An – 7 – M)  
*ღეიარებოდა* – დაიარებოდა სურ. 71-72, (Q – An – 7 – M)  
*სა* – სად სურ. 71-72, (Q – An – 7 – M)  
*ბოვში* – ბავშვი (Q – An – 13 – F)  
*გლახა* – ცუდი (Q – An – 17 – M)  
*ჩვეულებრივათ* – ჩვეულებრივად (W – 1 – M)

2.3.5. აუდიონანაწერების ფონეტიკური ტრანსკრიფცია

IM-An-1-F ლოთიკაციანლოთიდა|ლოთოფსდა...

IM- An -Q-1-F ოჯანშიროგაყობიგაყობიგაყობი|ძნელიაპარა||მარა|  
რასიზამ?

IM-N-1-F დავანებეთავიდავარპენსიონერი

IM-N-2-F პატარა||მსმელიკაციახანაასამსახურშიდახანარა.

IM-N-3-M ახლამყავსექსი.

IM-N-4-M იმისანაექიმიარისოქანე.

IM-N-5-M ყოლფერსუნუნდენმოკლეთი.

IM-N-6-M მაშენსხვადროიყოლა|ახლასხვადროია.

IM-N-7-M არისგერგერკილონახვცოტას|თუნახვად.

IM-N-8-M ოთხიშვილიომშიგავაგზავრე||ჩემობატონო.

IM-N-9-M ნაწილიდარჩა||იქინა.

IM-N-10-M იმამეს|ჩატარდართქმაუნდადა|  
დავწერეთოქმდამოვაწერეთხელი.

IM-N-11-M ესებუანამუშევარა|ბათუმში.

IM-N-12-M დათვისმეტარაფერიარმინახვსდა.

IM-N-13-M ცხრაწელიწადიგავათევ,პირველშივიყვიკილო.

IM-N-14-M წეველითვარა|გვიჭირავდენმანცისიყო.

IM-N-15-M აქორთცყავიმქონდეს|იქორთცყავიმენგქონდესო.

IM-N-16-F უკარიწრიხიდა|წოუქციეფეხეფში.

IM-Q-1-M ბი(ჭ)ოსიშინდნაბარამოდისშიერიკვდებიან?

IM-Q-2-M მეთითუნ?

IM-Q-3-M ტონაზე?

- IM-Q-4-M რატომ პირდაპირ ვეკითრებ?
- IM-Q-5-M ამას რა აჯობებ?
- IM-Q-6-M რა ვილაპარაკებოდა მთავდაკიდრებში?
- IM-Q-9-F წყალტუბოში ხოლო რა ვეკიდრები იქნება იმ ქალბატონებს?
- IM-Q-10-F ქეშეშეცხვამ რა რამე ქნა?
- IM-Q-11-F შრომითი წვდომის დასახელებები?
- IM-Q-12-F ფულით რა რა იქნება იქნება იქნება (ქ)ნა?
- IM-Q-14-M არ მოიხსენიებ?
- IM-Q-15-M სასამართლო იყო ბატონო?
- IM-Q-16-M მეტი მეტი გნათლები იქნება | მეტი სტავლა?
- IM-Q-18-M მარავინ გაგიშვა?
- IM-Q-19-M ახლა ახლა შრომითი ვეკიდრები იქნება?
- IM-Q-An-7-M სად უნდა იქნება ბათქვანი შვილი უთქვია და ||  
 რა ვიცი ბატონო კლასში კიდევ არაა დასრულებული.
- IM-Q-An-8-M რა გააკეთე? | მე უთხარი და არაა ფელი მოითხრა.
- IM-Q-An-13-F ბოვში? – ბოვში იქნება რეკლამაში.
- IM-Q-An-17-M კოლექტივი გლახარი? – კოლექტივი | კარგია ძალიან.
- IM-W-1-M ჩვეულებრივია.

## 2.4. კახური დიალექტი

2.4.1. *ბგერითი შედგენილობა.* კახური დიალექტის საანალიზო მასალაში, სალიტერატუროსაგან განსხვავებით, მხოლოდ *ა* – ნახევარხმოვანი ბგერა არის წარმოდგენილი.

2.4.2. *ბგერათცვლილებები.* ხმოვნებისათვის დამახასიათებელია სრული ან ნაწილობრივი რედუქცია. ხშირად იკარგება სონორი *ვ*, *რ*, *ლ*, *მ* ბგერები, ამასთანავე, არის მ-ბგერის ჩართვის შემთხვევა. ჩქამიერი თანხმოვნებიდან შეიძლება დაიკარგოს დ-თანხმოვანი ნ-სონორის მომდევნოდ, ბ-თანხმოვანი – ლ-სონორის წინ. ასევე შეიძლება დაიკარგოს ს-თანხმოვანიც; ან ორი ს შეერწყას ერთმანეთს. ხშირია თანხმოვანთა რედუქციის (*ს>ა*, *ჰ>ა*) შემთხვევები. სუბსტიტუციის მაგალითია *ს>ნ*. ტიპური მოვლენაა ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითის ნიშნად *ა*-ს ხმარება. მჟღერი ხშული თანხმოვანი ყრუვდება მომდევნო ყრუ ნაპრალოვნის ასიმილაციურული გავლენით. როგორც წესი, ყრუვდება ბოლოკიდური მჟღერი ხშულიც (*ბ>ფ*, *დ>თ*).

2.4.3. *პროსოდია.* ორმარცვლიან სიტყვაში მახვილი მოუდის ყოველთვის პირველ მარცვალს, სამ და ოთხმარცვლიანებში – პირველ ან მეორე მარცვალს, ხუთ- და ექვსმარცვლიანების პირველი მარცვალი მთავარმახვილიანია, ხოლო მესამე – თანამახვილიანი.

გაბმულ მეტყველებაში მახვილი, სუსტდინამიკურობის გამო, ადგილისა და ხმოვნის გრძლივობის თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას ამჟღავნებს.

კახურ დიალექტურ მეტყველებაში პროსოდიული მრავალფეროვნება მიიღწევა სამი ძირითადი ინტონაციური კონტურის (აღმავალი, დამავალი, თანაბარი) კომბინირებითა და ხმოვანთა გრძლივობის გაზრდით.

თხრობით წინადადებაში, გარდა დაუსრულებელი აზრის გამოსატვის შემთხვევისა, ბოლო სინტაგმა ყოველთვის დამავალი კონტურით არის წარმოდგენილი. თხრობითი წინადადების ბოლო

სმოვანი ხანდახან სუსტდება და გრძლივობაც უმცირდება, თუმცა ზოგჯერ სმოვნის დაგრძელება სპეციფიკურ აზრობრივ დატვირთვას იძენს (N-8-M).

განსაკუთრებით საყურადღებოა უკითხვითსიტყვო კითხვითი წინადადების ინტონაციური გაფორმება, როდესაც შემასმენელი ბოლო ადგილზეა. უფრო სშირად კითხვითობის გამოხატვა ხორციელდება ბოლო სმოვანზე შემდეგი ინტონაციური კონტურების გამოყენებით: დამავალ-თანაბარ-აღმავალი, აღმავალი, აღმავალ-დამავალი, აღმავალ-თანაბარი, აღმავალ-თანაბარ-დამავალი, დამავალ-აღმავალ-თანაბარი, მკვეთრად აღმავალ-მკვეთრად დამავალი. ზემოთ ჩამოთვლილ ვარიანტებში ბოლო სმოვანი ყოველთვის დაგრძელებულია.

კითხვითი წინადადება, რომელიც პასუხის შემდგომ განმეორებით კითხვას გულისხმობს, გაფორმებულია ბოლო სმოვნის დაგრძელების გარეშე – „ხო კარგათ იყავი“ (Q-An-Q-6-M-m-M).

წინადადების დამავალი კონტურით წარმოდგენილ კითხვით-სიტყვიან კითხვით წინადადებაში ტონის აწევა ხდება კითხვით სიტყვაზე და შემასმენლის პირველ მარცვალზე, ბოლოკიდური სმოვნის დაგრძელების გარეშე.

#### **2.4.4. ცოცხალი დიალექტური ფორმები**

- მემრე* – მერე სურ. 75, (N – 2 – F)
- გაკეთეფს* – გააკეთებს სურ. 75, (N – 2 – F)
- გაივე* – გაივე სურ. 91-92, (N – 3 – M)
- მაგრამ* – მაგრამ სურ. 91-92, (N – 3 – M)
- ჩემთვის* – ჩემთვის სურ. 91-92, (N – 3 – M)
- სახში* – სახლში სურ. 77, (N – 6 – F)
- მოვნათლით* – მოვნათლავთ სურ. 77, (N – 6 – F)
- მასწავლებლებს* – მასწავლებლებს სურ. 78, (N – 7 – M)
- არცხვნიან* – არცხვენენ სურ. 78, (N – 7 – M)
- მოიყვანა* – მოიყვანა (N – 8 – M)
- იმტო* – იმიტომ (N – 8 – M)

o – ის (N – 9 – M)  
თითონ – თეითონ (N – 9 – M)  
უნა – უნდა (N – 9 – M)  
ნიკა – ნიკა სურ. 79, (N – 10 – M)  
ქვილა – ერქვა სურ. 79, (N – 10 – M)  
ყვარელები – ყვარლელები (N – 12 – M)  
ერთმორე – ერთიმორე სურ. 93-94, (N – 14 – M)  
გამართებოდა – გაიმართებოდა სურ. 93-94, (N – 14 – M)  
სახსადგვიდი – სახლს(ა) ჰგვიდი სურ. 82, (Q – 3 – F)  
შენ დამ – შენმა დამ (Q – 4 – F)  
ბალღეფ (ჩემ ბალღეფ?) – ბალღებს სურ. 83, (Q – 5 – F)  
გინათ – გინდათ სურ. 85, (Q – 9 – M)  
დაკეტოთ – დაკეტოთ სურ. 85, (Q – 9 – M)  
რო – რომ სურ. 95-96, (Q – 11 – M)  
ავტობუს – ავტობუსს სურ. 87, (Q – 12 – M)  
კარგათ – კარგად (Q – An – Q – 6 – M – m – M)

2.4.5. აუდიოჩანაწერების ფონეტიკური ტრანსკრიფცია

- KAX-An-1-F ჩვენ<sup>ა</sup>წარაგენ<sup>ა</sup>ცვალებ<sup>ა</sup>წარაშვილ<sup>ა</sup>.
- KAX-N-1-F აუცილებლად<sup>ა</sup>კარგე<sup>ა</sup>უნდაგამოვიდეს<sup>ა</sup>.
- KAX-N-2-F მემრე<sup>ა</sup>მეორეგაკეთეფს<sup>ა</sup>.
- KAX-N-3-M გამგე<sup>ა</sup>მადგარამა<sup>ა</sup>მეარმინდაგასაყიდალ<sup>ა</sup>მეჩემთვის<sup>ა</sup>მინდა<sup>ა</sup>.
- KAX-N-4-M კამეჩიც<sup>ა</sup>, ხარიც<sup>ა</sup> ფურც<sup>ა</sup> დაყველაფერი<sup>ა</sup>.
- KAX-N-5-F არა<sup>ა</sup>ერთისმეტისაყდარიარიყო<sup>ა</sup> ეგეც<sup>ა</sup> დაანგრის<sup>ა</sup>.
- KAX-N-6-F სან<sup>ა</sup> შიმოვნათლით<sup>ა</sup> ხოლმე<sup>ა</sup>.
- KAX-N-7-M მასწავლებელ<sup>ა</sup> ფს<sup>ა</sup> ხუარც<sup>ა</sup> ხვნიან<sup>ა</sup>.
- KAX-N-8-M ზირამკერაფერი<sup>ა</sup> ცკერამაიყვანა<sup>ა</sup> | იმტორომ<sup>ა</sup> | ბუნება<sup>ა</sup> |  
ხელიარ<sup>ა</sup> შეგვიწყ<sup>ა</sup>.
- KAX-N-9-M ღირსები<sup>ა</sup> ქნებიან<sup>ა</sup> | თითონ<sup>ა</sup> უნა<sup>ა</sup> | ისინი<sup>ა</sup> დამშენ<sup>ა</sup> | ისე<sup>ა</sup> |  
უფროსები<sup>ა</sup> | პარლამენტი<sup>ა</sup> დან<sup>ა</sup> | ხევი<sup>ა</sup>თ.
- KAX-N-10-M ნიკამ<sup>ა</sup> ქვიოლა<sup>ა</sup>.
- KAX-N-11-M ჩემპატარაობას<sup>ა</sup> ერთი<sup>ა</sup> ჩვეულებები<sup>ა</sup> ყოფ<sup>ა</sup>.
- KAX-N-12-M გაღმდნან<sup>ა</sup> ჩამოდიონ<sup>ა</sup> დენ<sup>ა</sup> | ყვარელები<sup>ა</sup> | შილდელებ<sup>ა</sup>.
- KAX-N-13-M გამოღმდნან<sup>ა</sup> | ჩვენ<sup>ა</sup> ჩავდიოდით<sup>ა</sup> | შაშიანი<sup>ა</sup> | კლაური<sup>ა</sup>...
- KAX-N-14-M ერთმეორე<sup>ა</sup> ჭინდაობა<sup>ა</sup> | გამა<sup>ა</sup> მართებ<sup>ა</sup> დახოლმე<sup>ა</sup> | მაგარი<sup>ა</sup>.
- KAX-Q-1-F ჩემი<sup>ა</sup>?
- KAX-Q-2-F ძველებ<sup>ა</sup> ურები<sup>ა</sup> მოგ<sup>ა</sup> იყვით<sup>ა</sup>?
- KAX-Q-3-F სახსან<sup>ა</sup> გვიდი<sup>ა</sup>?
- KAX-Q-4-F შენ<sup>ა</sup> მ<sup>ა</sup>?
- KAX-Q-5-F ჩემბალ<sup>ა</sup> ლ<sup>ა</sup> ფ<sup>ა</sup>?
- KAX-Q-7-F გა<sup>ა</sup> უ<sup>ა</sup> შე<sup>ა</sup> ვ<sup>ა</sup> ს<sup>ა</sup>?

- KAX-Q-8-F ამირანს არ მიდიხარ? || გვიანდება.
- KAX-Q-9-M თქვენგინათს კოლები და აკეტოთ?
- KAX-Q-10-M ზირას ვენახი როგორ იწ?
- KAX-Q-11-M ამხანაგები როგორ მოვლენ მარტო შენგას წავლიწ?
- KAX-Q-12-M ავტობუსი ფული არ უნდა?
- KAX-Q-13-M ს(წ)ავლას ფული უნდა იცი?
- KAX-Q-14-M პირველი ჩვენგან რა იწყო?
- KAX-Q-15-M ჰოდა ეს სწორი?
- KAX-Q-16-M ცოდონი არ არიწ?
- KAX-Q-An-Q-6-M-m-M ყარამანი ვითარი ყავი? || მართალი ხარ ||  
ხოკარგათი ყავი?

## 2.5. ქართლური დიალექტი

2.5.1. *ბგერითი შედგენილობა.* ქართლური მეტყველების მაგალითებში, სალიტერატუროსაგან განსხვავებით, წარმოდგენილია მხოლოდ *ღ* – ნახევარხმოვანი ბგერა. საყურადღებოა აგრეთვე პროსოდიული ფაქტორებით გამონვეული ხმოვანთა დაგრძელება.

2.5.2. *ბგერათცვლილებები.* ხმოვნებისათვის დამახასიათებელია სრული ან ნაწილობრივი რედუქცია. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ხმოვანთა დაგრძელებაა. ყურადსაღებია აგრეთვე ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია (*ა>ე*). რეგრესული დისიმილაცია (*ა>ე*) და დავიწროება (*უი>ვი*).

თანხმოვანთცვლილებებიდან აღსანიშნავია: სონორი *ვ, ნ, ლ* ბგერებისა და *რქ* – თანხმოვანთმიმდევრობის დაკარგვა, *ვ>მ, ვ>ნ* სუბსტიტუცია, *გ>ქ* (*კარგი>კარქი*) ანალოგია, *ტზ>ძ* აფრიკატიზაცია და მჟღერების დაყრუება.

2.5.3. *პროსოდია.* ქართლურში დინამიკური მახვილი, როგორც წესი, მოუდის პირველ ხმოვანს; თუმცა შესაძლოა, მრავალმარცვლიანებში მახვილმა მეორე ხმოვანზე გადაინაცვლოს. საყურადღებოა, რომ გრძელი ხმოვანი ყოველთვის მახვილის მატარებელი არ არის.

თხრობითი წინადადების დაბოლოება უმრავლეს შემთხვევაში თანაბარი ან თანდათან დამავალი ინტონაციური კონტურით არის გაფორმებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბოლო სიტყვა დასტურს გამოხატავს ან ლოგიკური მახვილის მატარებელია.

სხვადასხვა სინტაქსური წყობის თხრობითი წინადადებების სხვა დანარჩენი სინტაგმები ფორმდება თითქმის ყველა შესაძლო ინტონაციური კონტურით.

კითხვით წინადადებაში ტონი აიწევს კითხვითი სიტყვის პირველ ამ მეორე ხმოვანზე, ზმნა-შემასმენელზე ტონის აწევა სავალდებულო არ არის. წინადადების დაბოლოება უფრო ხშირად დამავალია.

კითხვით წინადადებაში (კითხვითი სიტყვის გარეშე) კითხვითობა გამოიხატება ზმნის ან ზმნისა და ბოლო სიტყვის ინტონაციური სურათით. თუ ბოლო სიტყვა ზმნა-შემასმენელია, მიუხედავად მარცვალთა რაოდენობისა, იგი გაფორმებულია ტეხილი (აღმავალ-დამავალი) კონტურით. ამიტომ ერთმარცვლიან შემასმენელში ხმოვანი აუცილებლად დაგრძელებულია, რადგან სხვანაირად ტონის აწევა და დაწევა ჩვეულებრივი გრძლივობის ერთი ხმოვნის ფარგლებში ძნელად განსახორციელებელია.

თუ ზმნა-შემასმენელი წინადადების ბოლოს არ არის, მაშინ ტონის აწევა ხდება მის ბოლო ხმოვანზე და წინადადების ბოლო სიტყვა გაფორმებულია ტეხილი კონტურით (ტონის აწევ-დანევით). ერთსიტყვიანი კითხვითი არასრული წინადადებისათვის (კითხვითი სიტყვისა და ზმნა-შემასმენლის გარეშე) პროსოდიულ საერთო თავისებურებას წარმოადგენს ბოლო ხმოვნის დაგრძელება, ამასთანავე – ორმარცვლიაში პირველ ხმოვანზე ტონი დაბლა იწევს, მეორეზე კი ხდება აწევ-დანევა. სამმარცვლიანში – მეორდება იგივე კონტური ან პირველ ორ მარცვალში ხდება აწევა და ბოლოზე დაწევა.

ძახილის წინადადება შეიძლება წარმოდგენილი იყოს დამავალი, აღმავალი ან აღმავალ-დამავალი ინტონაციური კონტურით. ხმოვანი, როგორც წესი, გრძელდება მიმართვის და დაძახების შინაარსის სინტაგმებში.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ქართურისათვის დამახასიათებელია მეტყველების დინჯი სტილი, პროსოდიული თავისებურებაა ტეხილი ინტონაციური კონტურის მრავალფუნქციური გამოყენება, ხმოვნების გრძლივობითი მრავალფეროვნება და ემფატიკური ხმოვნის დართვა.

#### **2.5.4. ცოცხალი დიალექტური მეტყველების ფორმები**

*ბა* – მაშ სურ. 97, (An – 1 – M, An – 2 – M);

სურ. 111-112, (N – 3 – M); სურ. 102, (N – 8 – F)

*ბაშა* – მაშ (An – 3 – M)

*ბაჰ* – მაშ (An – 3 – M)

*კად* – *კარგი* სურ. 98, (N – 2 – M)  
*კარქი* – *კარგი* სურ. 98, (N – 2 – M)  
*მყანდა* – *მყავდა* სურ. 99, (N – 4 – M)  
*ეხლანდელ* – *ახლანდელ* სურ. 113-114, (N – 5 – F)  
*ითვლებოდენ* – *ითვლებოდნენ* სურ. 100, (N – 6 – M)  
*სუ* – *სულ* სურ. 101, (N – 7 – F)  
*ვთესამთ* – *ვთესავთ* სურ. 101, (N – 7 – F)  
*ვსწამლით* – *ვწამლავთ* (N – 9 – F)  
*უფხეკამთ* – *უფხეკეთ* (N – 9 – F)  
*მარტოკინა* – *მარტოკა* (N – 10 – F)  
*მუშაობდენ* – *მუშაობდნენ* (N – 10 – F)  
*მიწაზეთ* – *მიწაზედ* (N – 10 – F)  
*აქთ* – *აქვთ* სურ. 103, (N – 11 – M)  
*ამათა* – *ამათ* სურ. 103, (N – 11 – M)  
*ღვინისა* – *ღვინისა* სურ. 103, (N – 11 – M)  
*მყავ* – *მყავს* სურ. 104, (N – 12 – F)  
*ნეტაი* – *ნეტავი* (N – 13 – M)  
*არტელარია* – *არტილერია* (N – 14 – M)  
*პულმეტები* (<პულიმიოტები) – „ტყვიამფრქვევები“ (N – 14 – M)  
*წინეთაც* – *წინათაც* სურ. 105, (N – 15 – M)  
*მოტყვილება* – *მოტყუება* სურ. 105, (N – 15 – M)  
*ეხლა* – *ახლა* სურ. 108, (Q – 10 – M; Q – 3 – M; Q – 8 – M)  
*ძირითადათ* – *ძირითადად* სურ. 107, (Q – 4 – F)  
